

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის
N24 ბინაზე, მოქალაქე დავითი ჩიხლაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაში მცხოვრები მოქალაქე დავითი ჩიხლაძის წარმომადგენლის ზაზა ქათამაძის განცხადება /2013 წლის 26.04 Nტ-5130/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლი N24 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე დავითი ჩიხლაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავითი ჩიხლაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N99 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე /საერთო ფართობი 91,20 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 48,34 კვ.მ, დამხმარე ფართობი 42,86 კვ.მ./ მოქალაქე დავითი ჩიხლაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაკაჭიშვილი